398
ო-161

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

შორენა თავბერიძე

# ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკა

10.01.09 – ფოლკლორისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ფოლკლორისტიკის კათედრა

სამეცნიერო ხელმძღვანელი ქეთევან სიხარულიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (10.01.09)

ოფიციალური ოპონენტები: 1. თემურ ჯაგოდნიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.01.09)

2. მზია ჩაჩავა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (10.01.09)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 13 მაისს 13°° საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (P10.10№4) სხდომაზე (მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 1 აპრილს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი /ნ. ტაბიძე/

-1945-

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა:** სადისერტაციო ნაშრომის სათაურია „ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკა“.

ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლექსებში ასახულია ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენები და შეხედულებები წუთისოფელზე, ადამიანზე, მისი ამქვეყნიური არსებობის საზრისსა და დანიშნულებაზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, ბედსა და ბედისწერაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ აღნიშნული პოეტური ნაწარმოებები საგანგებო მეცნიერული კვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა. ამასთან, ხალხური ფილოსოფიური ლირიკის ცალკეული თემების, თავისებურებებისა და პოეტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ლექსების ეს ჯგუფი წარმოადგენს ერთ გარკვეულ გვიანდელ ეტაპს და მის კვლევას მნიშვნელობა აქვს ხალხურ პოეზიაში მიმდინარე პროცესების სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

**კვლევის საგანი და მიზანი:** სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკა. თემაზე მუშაობისას ჩვენი მიზანი იყო, შეგვესწავლა ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს ხალხურ ფილოსოფიურ ლექსებს და, შესაბამისად, გამოარჩევს მათ სხვა პოეტური ნაწარმოებებისაგან, ამ ლექსებში ასახული ხალხის შეხედულებები და რწმენა-წარმოდგენები, აგრეთვე ის მხატვრულ-პოეტური საშუალებები, რომლებითაც მთქმელი გადმოგვცემს თავის განცდილსა და ნააზრევს, თავის ფიქრებსა და ოცნებებს.

ზოგიერთი საკითხის დაზუსტების მიზნით სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებიც, რომლებშიც გვხვდება ფილოსოფიური მოტივები, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში მაგალითები მოყვანილია ქართული მხატვრული ლიტერატურიდან. ზოგჯერ ხალხური ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშები შეპირისპირებულია (ზოგადად) ლიტერატურულ ფილოსოფიურ ლექსებთან, რათა უფრო ნათლად გვეჩვენებინა ხალხური ლექსების თავისებურებები.

**სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები:** სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე საკვლევი თემის აქტუალობასთანაა დაკავშირებული. ნაშრომი პირველი ცდაა, სისტემური სახით იქნეს შესწავლილი ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკა.



Библиотека Тбилисского Гос. педагогического института иностранных языков